ქართული
კალათბურთი

საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატების (U14, U16, U18) ახალი საშეჯიბრო სისტემა

საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატების (U-14, U-16, U-18) ახალი საშეჯიბრო სისტემა



საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატების (U14, U16, U18) A, B და C დივიზიონები გაიმართება შემდეგი სისტემით:

ყველა მსურველი გუნდი 2022-2023 წლების სეზონზე უნდა დარეგისტრირდეს A, B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომლის დასრულების შემდეგ მივიღებთ:
A დივიზიონში - მაქსიმუმ 14 გუნდს;
B დივიზიონში - მაქსიმუმ 24 გუნდს
C დივიზიონში - 30 გუნდს (თუ გუნდების რაოდენობა გაიზრდება, C დივიზიონში შესაძლებელი იქნება გუნდების დამატება)

თითოეულ საკალათბურთო სკოლას (კლუბს/გუნდს) საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის შემდეგ შესაძლებლობა აქვს A დივიზიონში გამოიყვანოს მაქსიმუმ 1 გუნდი, ხოლო B დივიზიონში მაქსიმუმ 2 გუნდი; აღნიშნული რაოდენობრივი შეზღუდვა ვრცელდება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა თუ რამდენი გუნდით მიიღებს მონაწილეობას საკვალიფიკაციო ტურნირში საკალათბურთო სკოლა (კლუბი/გუნდი).

- A დივიზიონი: მაქსიმუმ 1 გუნდი
- B დივიზიონი: მაქსიმუმ 2 გუნდი
- C დივიზიონი: 2 გუნდზე მეტი
- 2022-2023 წ.წ. სეზონის და შემდგომი სეზონების საკვალიფიკაციო ეტაპების თამაშები ჩატარდება თბილისში.

A დივიზიონი

- 2022- 2023 წლების სეზონში A დივიზიონში მონაწილეობას მიიღებს მაქსიმუმ 14 გუნდი, 2 ჯგუფად (თამაშები ჩატარდება მიმოსვლით, გასვლა-სახლის პრინციპით).
- 2023-2024 წ.წ. სეზონიდან A დივიზიონის მაქსიმუმ 14 გუნდი ითამაშებს რეგულარულ სეზონს ჯგუფური სისტემის გარეშე.
- 2022- 2023 წ.წ. სეზონში A დივიზიონში გუნდების სამონაწილეო კვოტა განისაზღვრება ?? გუნდით (რომლებიც გამოვლინდებიან 2022-2023 წწ. სეზონის A, B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ტურნირის შედეგად.)
- 2022-2023 წ.წ. სეზონის A დივიზიონში რეგიონების გუნდების სამონაწილეო კვოტა განისაზღვრება ?? გუნდით (რეგიონის ამ ?? გუნდზე არ ვრცელდება 2022-2023 წწ. სეზონის A, B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ეტაპი).
- 2023-2024 წ.წ. სეზონიდან თბილისისა და რეგიონის გუნდებისთვის A დივიზიონში კვოტირება შეწყდება და ჩემპიონატებში მონაწილეობის სურვილის მქონე ნებისმიერი ახალი გუნდი ასპარეზობას დაიწყებს B და C დივიზიონების საკვალიფიკაციოდან.
- A დივიზიონში მონაწილე 1 გუნდს განსაზღვრავს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (მაგ: ასაკობრივი ნაკრებები და ა.შ)

B დივიზიონი

- 2022-2023 წ.წ. სეზონში B დივიზიონში მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი, რომელიც გადანაწილდება 4 ექვსგუნდიან ჯგუფში (ყველა თამაში ჩატარდება თბილისში).
- 2022-2023 წ.წ. სეზონში და შემდგომ სეზონებში, თითოეულ საკალათბურთო სკოლას (კლუბს/გუნდს) შესაძლებლობა აქვს B დივიზიონში გამოიყვანოს მხოლოდ 2 გუნდი.
- 2022-2023 წ.წ. სეზონში B დივიზიონის 23-ვე ადგილი გათამაშდება A, B, C დივიზიონების საკვალიფიკაციო ტურნირის შედეგად.
- B დივიზიონში 1 გუნდს განსაზღვრავს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი (მაგ: ასაკობრივი ნაკრებები და ა.შ).

C დივიზიონი

- 2022-2023 წ.წ. სეზონში C დივიზიონში მონაწილეობას მიიღებს 30 გუნდი, რომელიც გადანაწილდება 5 ექვსგუნდიან ჯგუფში (ყველა თამაში ჩატარდება თბილისში).
- 2022-2023 წ.წ. სეზონში და შემდგომ სეზონებში, თითოეულ საკალათბურთო სკოლას (კლუბს/გუნდს) შესაძლებლობა აქვს C დივიზიონში გამოიყვანოს 2 გუნდზე მეტი.
- 2023-2024 წ.წ. სეზონში და შემდგომ სეზონებში, გუნდებს საშუალება ექნებათ C დივიზიონში მონაწილეობა მიიღონ საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშეც (სურვილის შემთხვევაში, შესაბამისი ვადების დაცვით).
- 2023-2024 წ.წ. სეზონიდან, C დივიზიონში მონაწილე გუნდების დაკომპლექტების დროს, უპირატესობა მიენიჭებათ გუნდებს, ვინც მიიღებს მონაწილეობას 2023-2024 წწ. სეზონის B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ტურნირში, ხოლო გუნდები ვინც საკვალიფიკაციო ტურნირში არ მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ სურვილი აქვთ ითამაშონ C დივიზიონში, დარჩენილი ადგილების რაოდენობიდან გამომდინარე დაემატებიან C დივიზიონს.
- C დივიზიონში 1 გუნდს განსაზღვრავს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი (მაგ: ასაკობრივი ნაკრებები და ა.შ)

შენიშვნა: C დივიზიონი საშუალებას გვაძლევს, მსურველი გუნდების რაოდენობის გათვალისწინებით, გავზარდოთ C დივიზიონში მონაწილე გუნდების რაოდენობა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი.

დივიზიონებში გადასვლა/გადათამაშების სისტემა (იმოქმედებს 2022-2023 წწ. სეზონზე და ყველა მომდევნო სეზონზე)

A და B დივიზიონი

- ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ A დივიზიონის გუნდები - A12 და A13 ითამაშებენ გადათამაშებას B დივიზიონის B2 და B3 გუნდებთან A დივიზიონში დასარჩენად/მოსახვედრად.
- ჩემპიონატის დასრულების შემდგომ A დივიზიონის გუნდი - A14 გადაინაცვლებს B დივიზიონში, ხოლო B დივიზიონის გამარჯვებული გუნდი - B1 გადაინაცვლებს A დივიზიონში (გარდა რაოდენობრივი შეზღუდვისა - იხილეთ შენიშვნა)

შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ საკალათბურთო სკოლას (კლუბს/გუნდს) A დივიზიონში შეუძლია მხოლოდ 1 გუნდით ასპარეზობა, შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი მდგომარეობა:

მაგალითი 1 : თუ 2022-2023 წ.წ. სეზონის (ყოველ მომდევნო სეზონშიც) ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, B1, B2, B3 გასულ გუნდებს ჰყავთ A დივიზიონში 1 გუნდი, მაშინ მათ ნაცვლად, B4 გადაინაცვლებს A დივიზიონში , ხოლო B5 და B6 შესაბამისად ითამაშებს გადათამაშებას A12 და A13 გუნდებთან. შესაბამისად, აღნიშნული მდგომარეობის გამო, 2023-2024 წ.წ. სეზონში B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგად გათამაშდება B დივიზიონის 17 ადგილის ნაცვლად 14 ადგილი. თუ B1, B2, B3 გუნდებიდან 1 ან 2 გუნდს ჰყავს წარმომადგენელი A დივიზიონში, 2023-2024 წწ. სეზონში B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგად გათამაშდება B დივიზიონის 17 ადგილის ნაცვლად 15 ან 16 ადგილი.

მაგალითი 2 : თუ 2022-2023 წ.წ. სეზონის (ყოველ მომდევნო სეზონშიც) ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, A12 ან A13 გუნდს ჰყავს B დივიზიონში გუნდები, რომლებმაც დაიკავეს B2 ან/და B3 ადგილები, დივიზიონების გადასვლა/გადათამაშებაში საკალათბურთო სკოლის (კლუბის/გუნდის) ორ გუნდი შეხვდება ერთმანეთს.

მაგალითი 3: თუ 2022-2023 წ.წ. სეზონის (ყოველ მომდევნო სეზონშიც) ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ A14 გუნდი, რომელიც გადაინაცვლებს B დივიზიონში და შემდგომ სეზონზე მიენიჭება B1 გუნდის სტატუსი და ამავდროულად, B დივიზიონის B2 და B3 გუნდები იქნებიან ერთიდაიგივე საკალათბურთო სკოლის (კლუბის/გუნდის) წარმომადგენლები, B დივიზიონში B3-ს ჩაანაცვლებს მის შემდგომ ადგილზე გასული სხვა საკალათბურთო სკოლის (კლუბის/გუნდის) გუნდი, რომელიც შესაბამის ადგილს დაიკავებს B დივიზიონში ახალი სეზონის B და C დივიზიონის საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე.



B და C დივიზიონი

- ჩემპიონატის დასრულების შემდომ C დივიზიონის გამარჯვებული გუნდები C1, C2, C3 საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე, 2023-24 წ.წ. სეზონში ითამაშებენ ბ დივიზიონში.

შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ საკალათბურთო სკოლას (კლუბს/გუნდს) B დივიზიონში შეუძლია მხოლოდ 2 გუნდით ასპარეზობა, შესაძლებელია მივიღოთ შემდეგი მდგომარეობა:

მაგალითი 1 : თუ 2022-2023 წწ. სეზონის (ყოველ მომდევნო სეზონშიც) ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, C1, C2, C3 გასულ გუნდებს ჰყავთ B დივიზიონში 2 გუნდი, მაშინ მათ ნაცვლად, C4, C5, C6 გადაინაცვლებს B დივიზიონში. შესაბამისად, აღნიშნული მდგომარეობის გამო, 2023-2024 წწ. სეზონში B და C დივიზიონების საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგად გათამაშდება C დივიზიონის 26 ადგილი. (თუ C 1, C2, C 3 გუნდებიდან ერთ ან ორ გუნდს ეყოლება B დივიზიონში 2 გუნდი, C დივიზიონში შესაბამისად გათამაშდება 27 ან 28 ადგილი)